საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

995-გ-2-201403312018

N 995-გ 31/03/2014

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს

ასლი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ მაგდა პოპიაშვილს

ბატონო სერგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა მიმდინარე წლის 24 მარტს თქვენი სახელით ფონდში შემოსული # 1298/გ განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან შემოვიდა თხოვნა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდმა ზუგდიდში, სწორედ იმ ადგილზე სადაც სამედიცინო ცენტრის მშენებლობაა დაგეგმილი, განახორციელოს აღნიშნული ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა. შესაბამისად ფონდის მიერ ამ ეტაპზე ხორციელდება საავადმყოფოს ასაშენებლად გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა. გაცნობებთ, რომ ზუგდიდში სამედიცინო ცენტრის მშენებლობის საკითხი განეკუთნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას. შესაბამისად თქვენითვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ აღნიშნულ სამინისტროს.

პატივისცემით,

ლანა ბერიძე

ლ. ბერიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახური

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E–mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge